

ქ.თბილისი

2017 წლის 19 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 19 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, აკაკი კერესელიძე, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმი, ამა წლის 13 ნოემბერს, I ლიგის კალენდარული მატჩის დროს, ოზურგეთის „არწივები“-სა და თბ „ივერიას“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ოზურგეთის „არწივები“-ს მატჩის განაცხადში შეყვანილი იყვნენ და ითამაშეს სიმონ ჯალმაიძემ და დავით დოლიძემ, რომლებთაც სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვის თანახმად დარღვეული აქვთ სრკ-ს სატრანსფერო დებულების VII მუხლის 2 და 8 პუნქტები, VII მუხლის მე-5, X მუხლის მე-2 ა) პუნქტი და შესაბამისად არ ჰქონდათ მატჩში მონაწილეობის უფლება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.7 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ოზურგეთის „არწივები“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 19 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ოზურგეთის „არწივები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/